სმოლენსკის კონფერენციის საბოლოო დოკუმენტი

სმოლენსკის კონფერენციამ მიზნად დაისახა *„სმოლენსკის კატასტროფაში" TU – 154 M თვითმფრინავის ფრენის მექანიკისა და მსხვრევის მექანიკის ინტერდისციპლინარული კვლევების წარსადგენი ფორუმის შექმნა".* ეს მიზანი სრულად იქნა განხორციელებული, ხოლო ჩატარებულმა სხდომებმა აჩვენეს სმოლენსკის კატასტროფად წოდებული ტრაგიკული შემთხვევის მეცნიერული კვლევების აქტუალური მდგომარეობა და მიუთითეს, რომ არსებობს ამ კატასტროფის სხვა, ოფიციალური ვერსიისაგან განხვავებული, რაციონალური ახსნა. კონფერენციამ არა მხოლოდ დასახული მიზანი განახორციელა, არამედ რამოდენიმე სფეროში წარმატებასაც მიაღწია იქცა რა სამეცნიერო კვლევითი სფეროების დარგთაშორისი თანამშრომლობის შესაძლებლობის დასაბუთებად. ასზე მეტმა პროფესორმა 5 ქვეყნიდან, ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან რაიმე სახის ორგანიზაციული ან ფინანსური დახმარების გარეშე, შეძლეს ერთობლივი ძალისხმევა მიემართათ დასახული მიზნის გამოსაკვლევად და დაამტკიცეს, რომ სმოლენსკის კატასტროფის გარემოებათა შესახებ სიმართლის დადგენაში წარმატებები შესაძლებელია ისეთი ძირითადი ნივთმტკიცების, როგორიც არის თვითმფრინავის ნამსხვრევები, არ ქონის პირობებშიც კი.

კონფერენციის უმთავრესი ორგანიზაციული საფუძველი იყო მისი სრული გახსნილობა და გამჭვირვალობა. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოსაწვევები დაეგზავნათ აკადემიური სასწავლებლების ყველა განყოფილებას, ყველა ინსტიტუტს და სამეცნიერო ლაბორატორას პოლონეთის ტერიტორიაზე, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორში, თუკი მათი დაინტერესების სფეროში შედიოდა ნებისმიერი ტექნიკური ან ზუსტი მეცნიერება. დამატებით ინფორმაცია განთავსებული იქნა ინტერნეტ გვერდზე, რის შედეგადაც კონფერენციამ მიიღო 30 რეფერატი. უშუალოდ სხდომაზე დაშვებული იქნა 19 რეფერატი თანამედროვე სამეცნიერო დარგების ფართო სპექტრით. სხდომების სრული გამჭვირვალობისათვის და რაიმე სახის მედიალური მანიპულაციისაგან თავის დაზღვევის მიზნით, სხდომები სრულად გადაიცემოდა ინტერნეტით, ხოლო ინტერნეტ გვერდებზე http://konferencjasmolenska.pl და http://smolenskcrash.com განთავსებული იქნება მთელი ჩაწერილი სხდომები და კონფერენციის ყველა მასალა. ეს მასალები ასევე გამოქვეყნებული იქნება ბეჭდური სახით.

კონფერენციამ ერთის მხრივ აჩვენა თანამედროვე მეცნიერების კვლევითი შესაძლებლობები და მეორეს მხრივ კვლევების გაგრძელების აუცილებლობა რათა სმოლენსკის კატასტროფა სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული.

ამ კვლევების შედეგიანად ჩასატარებლად საჭიროა ხელმისაწვდომი იყოს სმოლენსკის კატასტროფის მიმდინარეობის თანამდევი უტყუარი მტკიცებულებები. არსებითია როგორც ნივთიერი მტკიცებულებები – თუნდაც სულ მცირე საგანი, რომელიც სმოლენსკის კატასტროფაში მონაწილეობდა - ასევე ჩანაწერები იმ დამოუკიდებელი ჩამწერი ხელსაწყოების, რომლებით განთავსებულია საჰაერო ლაინერებში და მიწისზედა ცენტრებში, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ 10. 04. 2010 თვითმფრინავის TU-154 ფრენას სმოლენსკის მიმართულებით. მივმართავთ ყველას, პიროვნებებსა თუ ორგანიზაციებს, თუ ფლობთ ასეთ საგნებს, ან ჩანაწერებს მოგვცეთ საშუალება, ნივთმტკიცების სანდოობის პროცედურების სრული დაცვიის გარანტიით, მეცნიერულად გამოვიკვლიოთ ისინი. ცალკე თემაა სმოლენსკის კატასტროფის მიდამოების სატელიტური ფოტოები, როგორც 10. 04. 2010 რიცხვის ასევე უფრო ადრინდელი. მივმართავთ ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ ასეთ ფოტოებს მოგვცენ მათი ანალიზის საშუალება. თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა, ცხადია, ენიჭება თვითმფრინავის ნარჩენების შესწავლას. ამიტომაც მოვითხოვთ პოლონეთის ხელისუფლებისაგან, რომ უზრუნველჰყონ რუსეთის მხარის მიერ უსაფუძვლოდ დატოვებული თვითმფრინავის ნარჩენებისა და ასევე შავი ყუთების დაბრუნება პოლონეთში.

არა გვაქვს გარანტია, რომ უმთავრესი ნივთმტკიცება, ანუ თვითმფრინავის ნანარჩენი, როდისმე ხელმისაწვდომი გახდეს გამოსაკვლევად. ასევე ვიცით, რომ კვალი დარჩენილი თვითმფრინავის ნარჩენებზე განადგურებულია სამუდამოდ. ასეთ სიტუაციაში დასმული ამოცანა დაფუძნებული სმოლენსკის კატასტროფის ნამდვილი მდინარების გამოაშკარავებაზე მეცნიერებისათვის დიდი გამოწვევაა. კვლევებისთვის გამოსადეგი ნივთიერი მტკიცებულებებისა და ინფორმაციის სიმწირის გამო ეს მცირერიცხოვანი ნივმთმტკიცებები განსაკუთრებული გულმოდგინებით და კომპლექსურად უნდა იქნეს გამოკვლეული. მივმართავთ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში დასაქმებულ კოლეგებს თხოვნით, რომ ქმედითად ჩაერთონ კვლევებში და სმოლენსკის კატასტროფის გამოკვლევაში. თხოვნით მივმართავთ ყველა მეცნიერს, მიუხედავად ეროვნებისა და სამუშაო ადგილისა, მოვუწოდებთ მათ მეცნიერული სოლიდარობისაკენ. განსაკუთრებით იმ მეცნიერ მუშაკების იმედი გვაქვს, რომლებიც გრძნობენ სულიერ კავშირს პოლონეთთან.

სმოლენსკის კატასტროფა მოითხოვს შემდგომი კვლევების კოორდინირებასა და მაკოორდინირებელი ფუნქციის შემსრულებელი ცენტრის შექმნას. არსებული ოფიციალური სამეცნიერო დაწესებულებების მხრიდან დღემდე არსებული უმოქმედობის და კატასტროფით არანაირი დაინტერესების გამო მიგვაჩნია, რომ ასეთი ცენტრი უნდა იშვას ბუნებრივად, სამეცნიერო წრეების მიერ, იმ ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებლად.

ასევე მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ბედისთვის ისეთი ფუნდამენტური მოვლენის გამოსაკვლევად, როგორიც იყო სმოლენსკის კატასტროფა, ქვეყანაში უნდა მოიძებნოს ფინანსური საშუალებები აუცილებელი კვლევების ჩასატარებლად. სამეცნიერო კვლევების დაფინანსების ფუნქციის მქონე ორგანიზაციებს მოვუწოდებთ გამოყონ აუცილებელი საშუალებები და ეს კვლევების ჩართონ თავიანთ ფინანსურ გეგმებში.

ვაცხადებთ, რომ ამჟამინდელ სმოლენსკის კონფერენციას განვიხილავთ არა როგორც დასასრულს, არამედ პირიქით, როგორც დასაწყისს სამეცნიერო კვლევებისა, რომელთაც გავაგრძელებთ სმოლენსკის კატასტროფის გარემოებათა სრულ გამოკვლევამდე. არ დავაკლებთ მცდელობებს რათა ამ კვლევებით დავადგინოთ ფაქტიური მიმდინარეობა და ვალდებულებას ვკისრულობთ მათი შედეგები პერიოდულად წარმოვადგენთ მომდევნო, ღია, სმოლენსკის კონფერენციებზე.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მსაგავსი კონფერენციის მოწყობა ტექნიკურისგან განსხვავებული სამეცნიერო წრეების მიერ. მოვუწოდებთ იურიდიული, სოციოლოგიური და სამედიცინო დარგების მეცნიერებს მოიწვიონ საკუთარი კონფერენციები. მათი მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ სმოლენსკის კატასტროფასთან დაკავშირებილი სამართლებრივი, სოციოლოგიური და სამედიცინო ასპექტების გაანალიზება არამედ ასევე შემდგომი მოქმედებებისაც, რომელთა მიზანი იყო საზოგადოებისათვის მოვლენის ყალბი სურათის თავზე მოხვევა.

ვაყალიბებთ სმოლენსკის II კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს და ვალდებულებას ვიღებთ ეს კონფერენცია ჩავატაროთ ყველაზე გვიან ერთ წლიწადში.

ვარშავა, 22 ოქტომბერი 2012 წ.

სმოლენსკის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი და სამეცნიერო კომიტეტი